

## **CS - ვებ კონტენტის მართვის სისტემა (CMS)**

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი იყო შექმნილიყო პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტი (CMS), რომელიც კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის რესურსების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფდა, კერძოდ შექმნილიყო ვებ-გვერდი და მისი მართვის სისტემა, რომელიც კონკრეტულად კომპიუტერული მეცნიერების პროგრამას, სტუდენტებს, ლექტორებსა და დეპარტამენტის საქმიანობას ასახავდა და მათ მოემსახურებოდა. მართალია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ვებ-გვერდი, მაგრამ მასზე ძალზედ მწირი ინფორმაციაა განთავსებული კონკრეტულად ჩვენი დეპარტამენტის შესახებ და ამასთან გვერდის განახლება, ცვლილებები და ა.შ ვერ ხორციელდება დეპარტამენტის უშუალო ჩართულობით. სწორედ ამიტომ გადაწყდა ისეთი cms-ის დამუშავება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მრავალი დანიშნულებით (დეპარტამენტის, კონფერენციის და ა.შ) და იმართებოდეს ლოკალურად - დეპარტამენტის მიერ.

CMS წარმოადგენს უნივერსალურ პროგრამულ პროდუქტს, რომლის დახმარებითაც ხორციელდება ნებისმიერი სირთულის ვებ-გვერდის, დაწყებული მცირე საპრეზენტაციო ხასიათის ვებ-გვერდიდან – მრავალფუნქციური საინფორმაციო პორტალით დამთავრებული, ადმინისტრირება, განახლება და განვითარება სწრაფად და მარტივად. აუცილებელია, რომ მისი მოხერხებული და გასაგები ინტერფეისი საიტზე ინფორმაციის ეფექტური მართვის საშუალებას იძლეოდეს ყოველგვარი პროგრამისტებისა და html-ის სპეციალისტების დახმარების გარეშე.

დასმული ამოცანის გადასაწყვეტად ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ვებ ტექნოლოგია: კერძოდ: HTML, CSS, Javascript ტექნოლოგიები ვებ-გვერდის ინტერფეისის შესაქმნელად, ბაზები - MYSQL, ხოლო ბიზნეს ლოგიკა (ვებ-გვერდის ძრავი) PHP framework - Laravel -ის გამოყენებით დაინერა.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში შეიქმნა ვებ-გვერდი, თავისი სამართავი სისტემით, საიდანაც იმართება ვებ-გვერდზე არსებული ნებისმიერი ფოტო-ვიდეო მასალა და ტექსტური ინფორმაცია რამდენიმე ენაზე. შესაძლებელია ვებ-გვერდიდან ელექტრონული წერილის გაგზავნა და ასევე მომავალი სტუდენტების ონლაინ რეგისტრაცია.

გიორგი კახურაშვილი